ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4108329

ნომერი: AR1620218

თარიღი : 31.07.2018

გაცემის თარიღი : 07.08.2018

გაცნობის თარიღი : 08.08.2018

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, გიორგი ბრწყინვალის ქუჩა, N 44;

დამკვეთი-განმცხადებელი

- დავით ხარაბაძე პ/ნ 01024012886
- თბილისი საირმის ქ. კორ. 11 ბ. 5

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 60 კვ.მ-მდე ფართობის 5 მ-მდე სიმაღლის და 2 მ-მდე ჩაღრმავების მქონე შენობა ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რაზედაც გაცნობებთ შემდეგს: ვინაიდან №2207774 ბრძანებით სამსახურის მიერ შეთანხმებული იქნა ქ. თბილისში, სექტორი- საბურთალო, დასახლება დიდი დიღომი I და III მ/რ-ებს შორის, (ნაკვ. 1/62),კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ნაკვეთის საკადასტრო კოდი #01.10.06.001.062) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი, რომელზეც №2253583 ბრძანებით გაიცა მშენებლობის ნებართვა. შემდგომ მიწის ნაკვეთის კონფიგურაციისა და ფართობის ცვლილების გამო , შეტანილი იქნა ცვლილება მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში და შესაბამისად გაიცა ახალი მერის ბრძანება ქალაქ თბილისის მერის 2017 წლის 5 ოქტომბრის #1-2211 ბრძანებით კ2-ის პარამეტრი გაზრდილი იქნა კ2-4,6 საკადასტრო კოდით #01.10.06.001.063 და #01.10.06.001.233 მიწის ნაკვეთებზე კონკრეტული ობიექტების მშენებლობის მიზნით და არა ახალი ცალკე მდგომი დამატებით სავაჭრო ობიექტის მშენებლობისათვის.

ასევე გაცნობებთ :„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 თებერვლის №13-35 დადგენილებით დამტკიცებული სამსახურის დებულების მე-2 მუხლის ”ა” ქვეპუნქტის თანახმად, სამსახურის მიზანია მის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ტერიტორიულ საზღვრებში ერთიანი საჯარო ხელისუფლების განხორციელება. ამავე დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის ”ე” ქვეპუნქტის შესაბამისად, სამსახურს თავის ფუნქციების შეუფერხებელი განხორციელების მიზნით უფლება აქვს განიხილოს შენობა-ნაგებობის ექსტერიერებისა და ინტერიერების პროექტები, მოახდინოს ფერთა შეთანხმება.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით მიუხედავად იმისა, რომ მომატებულია განსაშენიანების ინტენსივობის კ2 კოეფიციენტი (რომც ახალი ობიექტის მშენებლობისთვის იქნას მისი რესურსი მოაზრებული)სამსახურს ზოგადად მისი უფლებამოსილების გათვალისწინეებით არ მიაჩნია შესაძლებლად ამ კონკრეტულ მიწის ნაკვეთზე მშენებარე შენობისგან დამოუკიდებლად ცალკე მდგომი I კლასის სავაჭრო დანიშნულების ობიექტის განთავსება მიზანშეწონილად და მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს თქვენი მოთხოვნა.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.